ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 13

07.10.2022 წელი
13:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს, 13:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ირაკლი ეძგვერაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, მოგახსენებთ, რომ დღის წესრიგის პროექტში გათვალისწინებულია ორი საკითხი, პირველი არის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილება, ხოლო მეორე გახლავთ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 1244 კვ.მ. მიწის ნაკვეთის უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ქვიშის სახეობათა ეროვნული ასოციაციისთვის. გთხოვთ, რომ მეორე საკითხი გადავდოთ დამატებითი შესწავლის მიზნით, რადგან უმჯობესია ადგილზე გავიდეთ და ვნახოთ აღნიშნული ტერიტორია. იმის გათვალისწინებით, რომ აქამდე ეს იყო ქვიშის ფეხბურთის ფედერაციისთვის ორი წლის ვადით, უზუფრუქტის წესით გადაცემული ქონება. ძირითად შემთხვევებში რაიონული გამგეობის მიერ ხდება ტერიტორიის მოვლა-პატრონობა. სპორტის აღნიშნული სახეობისთვის მნიშვნელოვანი სივრცეა, მოგიწოდებთ, რომ აღნიშნული საკითხი გადავდოთ და დღის წესრიგით დავამტკიცოთ მხოლოდ ბიუჯეტის ცვლილების საკითხით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში**

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032227789-03, 04.10.2022წ.),*
მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრების მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში დაგეგმილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 104 845,6 ათასი ლარით და ეს განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 65 000,0 ათასი ლარი, ასევე დღგ-ს საპროგნოზო მაჩვენებლები გაიზარდა და ამ ნაწილშიც ბიუჯეტს ვზრდით 43 000,0 ათასი ლარით. გარდა ამისა ვზრდით, არაფინანსური აქტივის კლებიდან მისაღებ შემოსავლებს 30 000,0 ათასი ლარით, მცირდება კაპიტალური გრანტების ტრანსფერები, რომლებიც დღგ-ს გადახდის ნაწილში იყო გამოყოფილი 33 240,0 ათასი ლარით. ჯამურად 104 845,6 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტი და შეადგენს 1 560 000,0- ათას ლარამდე.

თანხები ძირითადად რამდენიმე მიმართულებით გადანაწილდა, ესაა სატრანსპორტო მიმართულება, რომელიც სუბსიდიით და კაპიტალური ხარჯების დასაფინანსებლად არის მიმართული, ასევე თბილსერვის ჯგუფის ხარჯები. იზრდება შემდეგი პროგრამები: გზების მშენებლობა და აღდგენა, გზების მოვლა-შეკეთება რაიონებში, მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია-მშენებლობა, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში, გამწვანების ღონისძიებები, დასუფთავების ღონისძიებები, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა, ბიზნესის სტიმულირება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა რაიონებში, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება, კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა, სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. რაც შეეხება **სპორტის და ახალგაზრდობის ნაწილს,** ამ პროგრამების ასიგნებები იზრდება სპორტის ნაწილში 564,0 ათასი ლარით და ეს არის ფედერაციების და პროექტების დაფინანსება, ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამა იზრდება 150,0 ათასი ლარით, ასევე იზრდება სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ნაწილში პროექტების დაფინანსება.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, ჩვენს ნაწილში ბიუჯეტის ცვლილების მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ პანდემიის შემდგომ სხვადასხვა მიმართულებით გაიზარდა სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების რიცხვი და შესაბამისად წლის ბოლომდე კვლავ აქტიურად, რომ

იყოს სხვადასხვა ღონისძიებები წარმოდგენილი დედაქალაქში, ამისთვის გვესაჭიროება დამატებითი რესურსები. რაც შეეხება ახალ პროგრამას ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" დავიწყეთ თემქაზე და გლდანში, 234 ადამიანი სარგებლობს მომსახურებით, ორშაბათს დაიწყო პროგრამა სადაც იყო 200 ადამიანი რეგისტრირებული, დღეს კი 234 ადამიანია რეგისტრირებული. დღეში მინიმუმ 10 ადამიანი ემატება. სავარაუდოდ სამ კვირაში ვფიქრობთ, რომ შეიძლება 400 ადამიანამდე ავიდეთ. აღნიშნულ ცენტრებს მეტი ბენეფიციარის მიღების რესურსი არ აქვს და ვემზადებით სხვა სპორტული ცენტრებიც, რომ ჩაერთოს პროგრამით მომსახურეობაში. ვაკვირდებით დინამიკას, საკმაოდ დიდი ინტერესია საზოგადოების მხრიდან და ვფიქრობთ, რომ აუცილებელი იქნება მომავალში მასშტაბების ზრდა.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ჯამურად ჩვენს ნაწილში სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით ფაქტობრივად 200,0 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტი, ცვლილების დიდი ნაწილი შიდა გადანაწილებიდან არის, ასევე საბავშვო ბაღებზე მაინტერესებს, კვების ხარჯებთან დაკავშირებით რა ცვლილებებია?

ლევან მიქავა - დიახ მატებასთან ერთად არის შიდა ეკონომია, კერძოდ მშენებლობების ნაწილი 514,0 ათასი ლარით იქნა შემცირებული აღჭურვის ნაწილში, რომელიც მომავალ წელს დაფინანსდება ბიუჯეტიდან. რაც შეეხება ბაღებს ახალი ტენდერი გამოცხადდა, კვების ხარჯების გაზრდამ გამოიწვია სუბსიდიის გაზრდა 6 500,0 ათასი ლარის მოცულობით.

ლადო ბოჟაძე - ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" პროგრამით, ბენეფიციარებს განკუთვნილ დროში 11:00 საათიდან 14:00 საათამდე ორივე სერვისით სარგებლობა შეუძლიათ, ცურვის და ფიტნეს დარბაზით? ასევე მუნიციპალურ ობიექტებზე ფიქრობთ მასშტაბების გაზრდას, თუ კერძო სექტორიც უნდა ჩართოთ?

ირაკლი გვილავა - მუნიციპალური ბაზები არაა საკმარისი, ამიტომ მოგვიწევს შეთავაზება გავუკეთოთ კერძო სპორტულ ცენტრებსაც, მათ ვინც სურვილს გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობაზე. თვეში 9-ვიზიტის ფარგლებში ბენეფიციარს ორივე სერვისით შეუძლია სარგებლობა.

ნინო კვიტაიშვილი - დიდი დიღმის კომპლექსის დასრულების ვადებთან დაკავშირებით რა მდგომარეობაა?

ირაკლი გვილავა - დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. თბილსერვის ჯგუფი ამ ეტაპზე დამაკავშირებელ სანიაღვრე ქსელს აწესრიგებს. 15 რიცხვიდან გზის დაგება იწყება მიმდებარე ტერიტორიაზე გამგეობის მიერ, ასევე სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტით უნდა ქონდეს შემოვლითი გზა ობიექტს. მაქსიმუმ 1 თვე გაგრძელდება გზის დაგების სამუშაოები, რაც შეეხება კომპლექსის მშენებლობას, აგვისტოს ბოლოს უნდა დასრულებულიყო, ამ ეტაპზე ვადაგადაცილებაა და კომპანია ჯარიმდება. მათი ინტერესიცაა, რომ მალე დასრულდეს ობიექტი. შემოდგომის ბოლოს სავარაუდოდ სრულყოფილად ჩაგვბარდება.

გიორგი ჩაკვეტაძე - გახსნის შემდეგ დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრიც შეემატება იმ ობიექტების სიას, სადაც ახალი პროგრამები ამოქმედდება, როგორიცაა ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" და სხვა. ასათიანის ქუჩაზე სპორტული კომპლექსის სამუშაოები რა ეტაპზეა? აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში დედაქალაქს ახალი სკეიტ პარკები შეემატება. მნიშვნელოვანი იყო ასევე სამი ა(ა)იპის ერთი მენეჯმენტის ქვეშ გაერთიანება. ობიექტების სამშენებლო სამუშაოების ადგილზე გაცნობის მიზნით შესაძლებელია, რომ დავგეგმოთ სამუშაო ვიზიტი საქალაქო სამსახურთან ერთად.

გივი ჩხარტიშვილი - ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობაც აქტიურ ფაზაშია, როგორც ვიცით, გეგმა-გრაფიკთან მიმართებაში, ჩამორჩენა ხომ არ აქვთ?

ირაკლი გვილავა - ასათიანის ქუჩაზე, ობიექტის გვერდით არის საჯარო სკოლა და განათლების სამინისტროს კონტრაქტორი კომპანია მუშაობს რემონტზე, ისეთი ვიწრო ადგილია, რომ ერთმანეთთან კვეთაში მოდიან სივრცის გამოყენების ნაწილში. ახლა შეთანხმდნენ გრაფიკზე, დაბალანსებულად მუშაობენ და ტემპი საკმაოდ ნორმალურია. ასევე ფერდის გასუფთავება მოხდა და დამცავი კონსტრუქციები დამონტაჟდა, ობიექტს ფერდი აქვს უკან, ხშირად იყო ქვის და მიწის ცვენა. ვარკეთილში მალე დასრულდება სკეიტ პარკის მშენებლობა, რაც შეეხება ვარკეთილის მულტიფუნქციურ ცენტრს ჩამორჩენა არ აქვს, გეგმა-გრაფიკს მიყვება და შეთანხმებისამებრ დეკემბრის ბოლოს სამუშაოები უნდა ქონდეთ დასრულებული. ტემპიდან გამომდინარე ველოდებით დათქმულ ვადებში ობიექტის დასრულდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი

მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, გივი ჩხარტიშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ვლადიმერ ბოჟაძე - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ირაკლი ემგვერაძე, ნინო კვიტაიშვილი (2).

ქალაქ თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის № 4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე